დამტკიცებულია

პედაგოგიური საბჭოს მიერ

ოქმი №1 06.09.2019 წ.

დირექტორი:მ. დეკანოიძე

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი–ელ–სის

2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

თბილისი, 2019 წლის სექტემბერი

შინაარსი

1. შესავალი - - -

1. შესავალი

სასკოლო სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზეა შედგენილი და მისი საშუალებით ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესი სკოლაში.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაზიარებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანა - შექმნას მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას:

- საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მიღწეული შედეგი;
- გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები;
- შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას, ანუ მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით.

სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის სრული ვერსიის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის: მშობლებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და X-XI კლასის მოსწავლეებთან მაისის თვეში ყოველწლიური ტრადიციული შეხვედრები მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის მიზნით, სკოლის ვებგვერდის, ბიბლიოთეკისა და კლასის დამრიგებლის საშუალებით.

2. სკოლის მისია

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სი მოწოდებულია უზრუნველყოს სწავლა-სწავლების, აღზრდისა და განვითარებისათვის ოპტიმალური გარემოს ფორმირება, რომელშიც მოსწავლე შეიძენს ფუნდამენტურ კომპეტენციებს: მიიღებს ბაზისურ საგნობრივ ცოდნას და შეეძლება მისი პრაქტიკული გამოყენება, ექნება სწრაფვა დამოუკიდებელი და უწყვეტი განათლებისადმი, ავთენტური შეფასებისადმი, გაიაზრებს თავისი, როგორც მოქალაქის როლს, უფლება-მოვალეობებს, განივითარებს პასუხისმგებლობასა და ტოლერანტობას, ყოფით სფეროს გამოიყენებს როგორც არეალს ჯანმრთელობის, ტრადიციების, რესურსების, გარემოს დაცვისათვის, კულტურის სფეროში შეძლებს მრავალმხრივი ინტელექტის ექსპრესიას, კულტურის ტრანსფერს, თავისუფალი დროის გონივრულ დაგეგმვას.

სკოლის მიზანია გაამართლოს მოლოდინები:

- საზოგადოებისათვის: აღზარდოს სოციალურად და პიროვნულად სწორად ორიენტირებული შემოქმედი პიროვნება, რომელიც მზად იქნება ეროვნული ფასეულობების დასაცავად;
- მშობლებისათვის: შექმნას ბავშვის სწავლის, განვითარებისა და აღზრდის შესაფერისი პირობები;
- კოლეგებისათვის: თანამშრომლობის, თანამოაზრეობის, პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი გარემო;
- ბავშვებისათვის: უსაფრთხო და თბილი ატმოსფერო, სადაც თითოეული სასკოლო ცხოვრებისა თუ სწავლების განსაკუთრებული, საინტერესო და სრულფასოვანი წევრია.

სკოლის საგანმანათლებლო ამოცანებია:

- უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება სწავლების ყველა საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განმტკიცებით, განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება პედაგოგიური პერსონალის ინტელექტუალური

და ემოციური რესურსებით, გამოიყენოს სწავლების თანამედროვე და აღიარებული მეთოდები, ინტელექტუალური სწავლების პრინციპები, საბაზრო ეკონომიკისა და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა მოთხოვნების გათვალისწინებით განახორციელოს ეკონომიკური, ტექნიკური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო პროფილით სწავლება;

- უზრუნველყოს უცხოური ენების გაღრმავებული სწავლება გერმანული - DSD სკოლის პირობებში და ინგლისური - TOEFL-ის სასერტიფიკატო ჯგუფებში, ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლების სკოლის პერსპექტივით;
- უზრუნველყოს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის კონკურენტუნარიანი აბიტურიენტების მომზადება აბიტურის პროგრამის ფარგლებში.

ამისათვის სკოლა განახორციელებს:

- საგამოცდო საგნების მცირერიცხოვან ჯგუფებში და გაზრდილი საათობრივი ლიმიტით სწავლებას XI-XII კლასებში;
- უცხოური ენების გაღრმავებულ სწავლებას ენის ფლობის დონეების მიხედვით და მცირერიცხოვან ჯგუფებში;
- მოსწავლეთა შეფასებას ინოვაციური სისტემით - შაბათის შემაჯამებელი გაკვეთილები - მოდულებითა და რეიტინგებით, სასკოლო წერებით;
- საზაფხულო სემინარებსა და პარტნიორულ პროგრამებში თანამშრომელთა მაქსიმალურად ჩართვას;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობისათვის: შემეცნებით, საკონკურსო, მედია-პროექტებში ჩართვას, თვითმმართველობის განვითარებას;
- თანამშრომელთა მოტივაციისათვის: წახალისებისა და მონიტორინგის არსებული სისტემების მუდმივ სრულყოფას.

3. სკოლის სტრუქტურა:



4. სასწავლო წლის კალენდარი

სკოლაში დადგენილია 5-დღიანი სასწავლო კვირა, რომელსაც ემატება შაბათის შემაჯამებელი დავალებები წინასწარ დადგენილი გრაფიკისა და საგნების რაოდენობის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს სამ კვირაში ერთხელ.

არდადეგები და სასწავლო წლის კალენდარი

- I კლასისათვის: 16.09.2019 წ. – 27.05.2020 წ.
- II-XI კლასებისათვის: 16.09.2019 წ. – 13.06.2020 წ.
- XII კლასისათვის: – 16.09.2019წ. – 20.05.2020 წ.

არდადეგები

- 2019 წლის 30 დეკემბერიდან – 2020 წლის 15 იანვრამდე (ზამთრის არდადეგები),
- 2020 წლის 8 მარტიდან – 15 მარტამდე (საგაზაფხულო არდადეგები),
- 2019 წლის 15 ივნისიდან 2020 წლის 15 სექტემბრამდე (ზაფხულის არდადეგები).

დასვენების დღეები:

- 14 ოქტომბერი – მცხეთობა
- 23 ნოემბერი – გიორგობა
- 19 იანვარი – ნათლისღება
- 3 მარტი – დედის დღე
- 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე
- 17-20 აპრილი - აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული
- 9 აპრილი – დამოუკიდებლობის დღე
- 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე
- 12 მაისი – ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე
- 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

5. სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

სკოლაში სასწავლო პროცესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. დანართი N 1.

სკოლის შინაგანაწესში ცვლილებები სასწავლო წლის განმავლობაში ზემდგომი ორგანიზაციებიდან მიღებული ახალი რეგულაციებისა და/ან სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელდება სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სრული ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს და გულისხმობს 12 წლიან სწავლებას. სრული ზოგადი განათლების საფეხურებია: დაწყებითი საფეხური I-VI კლასები, საბაზო საფეხურიVII-IX კლასები, საშუალო საფეხური – X-XII კლასები.

სკოლაში სწავლა ხორციელდება სამივე საფეხურზე თბილისის სკოლაში და საბაზო და საშუალო საფეხურზე ზუგდიდის განყოფილებაში.

დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

- შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და სწავლისათვის საჭირო უნარ–ჩვევების გამოსამუშავებლად;
- ჩამოუყალიბოს მოსწავლეს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესი;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები და ჩამოუყალიბოს საფუძვლები შემდგომ, საბაზო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად. იმ ცოდნის დასაუფლებლად, უნარ–ჩვევების გასავითარებლად და დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლდ, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება.

საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

- დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში;
- შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობა სწავლისგასაგრძელებლად და/ან შრომით ბაზარზე სწორიარჩევანის გასაკეთებლად.

საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

- შეუქმნას მოსწავლეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მისაღებად;
- დაეხმაროს მოსწავლეს მომავალი არჩევანის გასაკეთებლად, სწავლის გასაგრძელებლად და/ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად;
- მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება.

სკოლის სტრუქტურის მიხედვით სასწავლო პროცესის ორგანიზებას სკოლის სასწავლო ნაწილი ახორციელებს, რისთვისაც ის იყენებს მის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს: სწავლების ხარისხის სამსახურს, რეგიონალური განყოფილების სასწავლო პროცესის მენეჯერს და უსაფრთხო სკოლის მენეჯერს, საგნობრივ კათედრებს, მასწავლებელთა მორიგეობას, დამრიგებლებსა და სკოლის სხვა სამსახურებს.

მშობელთა ინფორმირებისა და ჩართულობისათვის გამოყენებულია:

1. სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ჟურნალი, ფეისბუკის გვერდი;
2. დამრიგებელთა ორგანიზებული შეხვედრები და შეხვედრები საჭიროების მიხედვით (საჭიროებს დირექციასთან შეთანხმებას);
3. მშობელთა კლუბისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებული სხდომები;
4. ორშაბათის თათბირი დირექტორთან ყველა დამრიგებლისა და კათედრის ხელმძღვანელის, სკოლის ფსიქოლოგის, ექიმის, ინფომენეჯერის მონაწილეობით - 11:00 სთ - პირველი საფეხური, 14:20 სთ - მეორე და მესამე საფეხური;
5. დირექტორის შეხვედრები მშობლებთან მაისში წლის შედეგების შეჯამებისა და მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის მიზნით;
6. მშობლებთან ყოველკვირეული შეხვედრები კათედრებზე მათი ინფორმირებისა და მოსწავლეთა პრობლემების გადაჭრის მიზნით დღეების მიხედვით.

6.სკოლის საათობრივი ბადე - დანართი N 2

სკოლის საათობრივი ბადე მთლიანად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს. ცალკეული კლასების მიხედვით ბადეში სკოლის მიერ, მისი პრიორიტეტებიდან და მისიიდან გამომდინარე, შეტანილია რიგი ცვლილებები. ამასთანავე, ეს ცვლილებები არ ეწინააღმდეგება ესგ-ს მოთხოვნებს.

სავალდებულო საგნები

1. ქართული ენა და ლიტერატურა – ისწავლება I-XII კლასებში;
2. მათემატიკა – ისწავლება I -XII კლასებში. V კლასიდან ხდება მოსწავლეების განაწილება განაყოფებში (კლასის გაყოფა)
3. უცხოური ენები: ა) პირველი უცხოური ენა - ინგლისური ენა – ისწავლება I-XII კლასებში. II კლასიდან ხდება მოსწავლეების განაწილება განაყოფებში (კლასის გაყოფა); ბ) მეორე უცხო ენა: გერმანული ენა ისწავლება II-XII კლასებში, შემდეგი განრიგით:II- X კლასებში – DSD პროგრამაში ჩართული ყველა მოსწავლე თბილისის სკოლაში; VII - X კლასებში – DSD ყველა მოსწავლე ზუგდიდის სკოლაში; მეორე უცხოური ენა - გერმანული – X-XII კლასების მოსწავლეები როგორც თბილისის, ასევე ზუგდიდის სკოლაში; მეორე უცხოური ენა - ფრანგული – V-XII კლასების მოსწავლეები როგორც თბილისის, ასევე ზუგდიდის სკოლაში. გ) მესამე უცხოური ენა რუსული, სკოლისათვის სავალდებულო დამატებითი საგანი – ისწავლება VII -IX კლასებში; დ) არჩევითი საგანი – მესამე უცხოური ენა რუსული, – ისწავლება X-XII კლასებში.
4. ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში);
5. მე და საზოგადოება (ისწავლება III-IV კლასებში);
6. საქართველოს და მსოფლიო ისტორია (ისწავლება VII-XII კლასებში);
7. გეოგრაფია (ისწავლებაVII-VIII კლასებში);
8. საქართველოს გეოგრაფია (ისწავლება IX კლასში);
9. მსოფლიოს გეოგრაფია (ისწავლება X კლასში);
10. გლობალური პრობლემების გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში);
11. სამოქალაქო განათლება (ისწავლება VII, IX-X კლასებში);
12. სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (ისწავლება VIII და XII კლასებში);
13. საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (ისწავლება XI კლასში);
14. მუსიკა (ისწავლება I-IX კლასებში);
15. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ისწავლება I-IX კლასებში);
16. ფიზიკური აღზრდა და სპორტი (ისწავლება I–XII კლასებში)
17. ბალეტი (ისწავლება I-IV კლასებში 1 აკ.სთ);
18. ბუნებისმეტყველება (ისწავლება I-VI კლსებში);
19. ბიოლოგია (ისწავლება VII-XI კლასებში);

20. ფიზიკა (ისწავლება VII-XI კლასებში);
21. ქიმია (ისწავლება VIII-XI კლასებში);
22. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) (ისწავლება V-VI კლასებში);

არჩევითი საგანი

საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნებიდან სკოლას უცხოური ენების სწავლებისადმი დამოკიდებულების, სკოლის პრიორიტეტისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით 2019-2020 სასწავლო წელსაც X-XII კლასებში არჩეული აქვს მესამე უცხოური ენა – რუსული ენა.

„აბიტურის საათი“

სავალდებულო და არჩევითი საგნების გარდა მეთორმეტე კლასის საათობრივ ბადეში გათვალისწინებულია „აბიტურის საათები“ XI-XII კლასებში იმ საგნებისთვის, რომლებსაც მოსწავლეები აბარებენ ეროვნულ გამოცდებზე. აღნიშნული საათის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეს თითოეულ კონკრეტულ საგანში ნასწავლი მასალის გამეორებას კურსდამთავრებულთა მეტად მაღალი შედეგებისათვის სასურველ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის უზრუნველსაყოფად.

- ქართული ენა და ლიტერატურა 1 აკ. სთ;
- მათემატიკა – 1 აკ. სთ;
- უცხოური ენა – ინგლისური – 2 აკ.სთ;
- ისტორია - 1 აკ.სთ,

7.გაკვეთილების ცხრილი. დანართი N 3

სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს და დროის მონაკვეთში, რომელი საგანი ისწავლება, ბადეში შესაბამისი პედაგოგის მითითებით.

სასკოლო გაკვეთილების ცხრილი მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ, სავალდებულო და არჩევით საგნებს.

გაკვეთილების ცხრილშია ჩასმული IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი:

მასწავლებელი: მარინე დეკანოიძე-თბილისის სკოლა, გია ხასია - ზუგდიდის გ-ბა

IX კლასი			XI კლასი		
	თარიღი	საათი		თარიღი	საათი
1	09.10,19	15,10	1	10,10,19	15,10
2	30,10,19	15,10	2	07,11,19	15,10
3	20,11,19	15,10	3	28,11,19	15,10
4	11,12,19	15,0	4	18,12,19	15,10
5	12,02,20	15,10			
6	18,03,20	15,10			
7	29,04,20	15,10			
8	13,05,20	15,10			

პარტნიორ უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან მოსწავლეთა შეხვედრების განრიგი:

ოქტომბერი - გერმანული ენის სწავლების კოორდინატორი ამიერკავკასიაში ანგელა შმიდტი - ინფორმაცია გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის
- საქართველოს უნივერსიტეტი

ნოემბერი - თავისუფალი უნივერსიტეტი
LCC - ლიტვის ამერიკული უნივერსიტეტი

დეკემბერი - კავკასიის უნივერსიტეტი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თებერვალი - განათლების საერთაშორისო გამოფენა Expo-Georgia-ში

მარტი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი,
- LCC - ლიტვის ამერიკული უნივერსიტეტი

8.საგანმანათლებლო რესურსები:

1. გრიფმინიჭებული სასკოლო და დამატებითი სახელმძღვანელოები;
2. საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები: ინტერნეტში ჩართული 22 კომპიუტერი თბილისში, ზუგდიდში 10 კომპიუტერი. პირველკლასელთა ბუკები – 19, პროექტორები: 3 თბილისის სკოლაში, 1– ზუგდიდის განყოფილებაში, ტელევიზორები, გერმანული ენის კაბინეტში smart- ტელევიზორი;
3. სასკოლო თვალსაჩინოებანი: რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა;
4. ბიბლიოთეკა: ა) თბილისში წიგნადი ფონდით 4042 ერთეული – მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, მხატვრულ, შემეცნებით, სამეცნიერო, მეთოდურ ლიტერატურას, პერიოდულ გამოცემებს ქართულ და უცხოურენებზე, ელექტრონულ წიგნებს, ბ)ზუგდიდის განყოფილებაში ბიბლიოთეკა 1600 ერთეული წიგნით, გ) ელექტრონული სახელმძღვანელოები;
5. საბუნებისმეტყველო საგნების - აინშტაინის ლაბორატორიები თბილისსა და ზუგდიდში.

სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. დანართი № 4

კათედრების მიერ არჩეულია სახელმძღვანელოები გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხიდან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. არჩეული სახელმძღვანელოებით სკოლა ამარაგებს როგორც თბილისის სკოლის, ასევე ზუგდიდის განყოფილების ყველა მოსწავლეს.

სკოლა ასევე იყენებს დამხმარე/დამატებით სახელმძღვანელოებს, რომელიც შერჩეული და დამტკიცებულია დადგენილი პროცედურებით.

8.მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები

დანართი N 5

მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის შესაფასებლად სკოლაში შემუშავებულის მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები დებულების სახით. დებულება შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ საგნის მასწავლებლების, კათედრების, სწავლების ხარისხის სამსახურის, სასწავლო ნაწილის, დირექციის მონაწილეობით და მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა, მშობლების და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების მოსაზრებები.

მოსწავლეებისათვის დებულების გაცნობა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში შემდეგი წესით:

1. საგნის მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს კლასს საგანში არსებულ მოთხოვნებს, მინიმალურ გამსვლელ ქულას, რუბრიკებს;
2. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს მოსწავლეებს გაცდენებთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და მოსალოდნელ შედეგებს, საგამოცდო საგნებს, შემაჯამებელი დავალებების (შაბათის შემაჯამებელი დავალებებისა და გაკვეთილებზე ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების – საკონტროლოების) განრიგს;
3. შეფასების წესებთან დაკავშირებული ინფორმაცია, შეფასების რუბრიკები გამოკრულია კლასებში, კათედრებზე, სამასწავლებლოში, ხოლო შესაბამისი განმარტებითი საუბრები ყველა კლასში ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და შემდგომ, განსაკუთრებით შემაჯამებელი დავალებების წინ ან/და საჭიროების შესაბამისად;
4. მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების დებულება განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის.

9.კათედრები სკოლაში

სკოლაში მშობელთა ინფორმირებულობისათვის ჩანიშნულია შეხვედრები მათთან, კათედრის დღეებში, საგნების მიხედვით შემდეგნაირად:

ოთხშაბათი – ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა, გეოგრაფია, ჩვენი საქართველო, ბუნებისმეტყველება, სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, მუსიკა, ზოგადი უნარები;

ხუთშაბათი - ინგლისური ენა, ისტორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ხელოვნება, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სპორტი.

სკოლაში საგნობრივი ჯგუფების მიხედვით ფუნქციონირებს სამი კათედრა და გერმანული ენის სადიპლომო პროგრამა

- ჰუმანიტარული საგნები – ქეთევან თავდიშვილი
- მათემატიკა, საბუნებისმეტყველო საგნები და ტექნოლოგიები – თამარ ქავთარაძე
- უცხოური ენები – ქეთინო მჭედლიშვილი
- გერმანული ენის სადიპლომო პროგრამა – დალი ამაშუკელი

საგნობრივი კათედრები შემავალი საგნების მიხედვით აერთიანებს სკოლის 58 მასწავლებელს.

<u>ჰუმანიტარული საგნების კათედრა</u>

- ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I–XII კლასებში);
- ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში);
- საქართველოს და მსოფლიო ისტორია (ისწავლება VII-XII კლასებში);
- გეოგრაფია (ისწავლება VII-VIII კლასებში);
- საქართველოს გეოგრაფია (ისწავლება IX კლასში);
- მსოფლიოს გეოგრაფია (ისწავლება X კლასში);
- გლობალური პრობლემების გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში);
- სამოქალაქო განათლება (ისწავლება VII, IX-X კლასებში);
- სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (ისწავლება VIII და XII კლასებში);
- მე და საზოგადოება (ისწავლება III - IV კლასებში);
- საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (ისწავლება XI კლასში);
- მუსიკა (ისწავლება I-IX კლასებში);
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ისწავლება I-IX კლასებში);
- ფიზიკური აღზრდა და სპორტი (ისწავლება I–XII კლასებში);
- ბალეტი (ისწავლება I-IV კლასებში 1 აკ.სთ).

მათემატიკის, საბუნებისმეტყველო საგნებისა და ტექნოლოგიების კათედრა

- მათემატიკა (ისწავლება I–XII კლასებში);
- ბუნებისმეტყველება (ისწავლება I-VI კლსებში);
- ბიოლოგია (ისწავლება VII-XI კლასებში);
- ფიზიკა (ისწავლება VII-XI კლასებში);
- ქიმია (ისწავლება VIII-XI კლასებში);
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) (ისწავლება V, VI კლასებში);

უცხოური ენების კათედრა

- პირველი უცხოური ენა – ინგლისური (ისწავლება I–XII კლასებში);
- მეორე უცხოური ენა – გერმანული (ისწავლება X-XII კლასებში);
- მეორე უცხოური ენა – ფრანგული (ისწავლება V-XII კლასებში);
- მესამე უცხოური ენა – რუსული, სკოლისათვის სავალდებულო დამატებითი საგნის სახით (ისწავლება VII-IX კლასებში);
- არჩევითი საგანი – მესამე უცხოური ენა – რუსული (ისწავლება X-XII კლასებში).

გერმანული ენის სადიპლომო პროგრამა

- გერმანული ენა - DSD (ისწავლება II-X კლასებში)
- გერმანული ენა - DSD ზუგდიდის გ-ბა (ისწავლება VII-IX კლასებში)

კათედრის ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- სკოლის დირექციასთან ერთად სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება.
- ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოების შერჩევა. რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნების შესახებ;
- გასული სასწავლო წლის მუშაობის შედეგების გათვალისწინებით, კათედრაში შემავალი საგნების თემატურ–კალენდარული გეგმის საკითხების დამუშავება, განხილვა;
- შეფასების კრიტერიუმების და რუბრიკების დამუშავება, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის მათი გაცნობა;
- შემაჯამებელი დავალებებისათვის (მათ შორის გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების) საკითხების მომზადება და წარდგენა სკოლის დირექციისთვის;
- შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზი და პრობლემების არსებობის შემთხვევაში სწავლების ხარისხის სამსახურთან ერთად გადაჭრის გზების დაგეგმვა;
- გამოცდებისთვის (სემესტრული, წლიური, საშემოდგომო, ექსტერნატის)

საკითხების შემუშავება და წარდგენა სკოლის დირექციისთვის;

- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;
- მშობლებთან ყოველკვირეული შეხვედრების ორგანიზება დადგენილ დღეებში და სათანადო დოკუმენტაციის წარმოება, საჭირო ინფორმაციის დირექციისათვის დროული მიწოდება;
- ჩატარებული გამოცდებისა და შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის შენახვა;
- გამოცდილების გაზიარების მიზნით მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და შედეგების განხილვა -შეფასება;
- სხვა კათედრის მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობის წარმოება (ერთობლივი ღონისძიებების, ინტეგრირებული და ღია გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება);
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის;
- პროფესიული განვითარების გზების დასახვა;
- რეკომენდაციების შემუშავება ახალი მეთოდოლოგიებისა და მიდგომების შესახებ;
- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვასთან დაკავშირებით ფასილიტატორთა კანდიდატისა და შეფასების ჯგუფის წევრთა შერჩევა და წარდგენა;
- კათედრაში შემავალი საგნების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებლებისათვის შეხვედრებისა და კონსულტაციების მოწყობა;
- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის განხორციელება.

კათედრის თავჯდომარემ უნდა უზრუნველყოს:

- რეგულარული შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და საბუთების წარმოება-შენახვა);
- სკოლის დირექციისათვის კათედრის სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება;
- კათედრაზე გაერთიანებული საგნის მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის საჭირო კონსულტაციების მოწყობა, სასარგებლო ღონისძიებების (ტრენინგების, კონფერენციების და სხვა) ორგანიზება და ჩატარება;
- კათედრის წევრთა მუშაობის პერიოდული შემოწმება (გაკვეთილებზე დასწრება), დასკვნების მომზადება და კათედრის სხდომაზე წარდგენა;
- ყოველდღიურ საყურადღებო საკითხებზე დირექციის დროული ინფორმირება;
- კათედრის მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიშის მომზადება და წარდგენა

პედაგოგიური საბჭოსთვის (სემესტრისა და წლის ბოლოს).

კათედრა იკრიბება სასწავლო წლის დაწყებამდე. სემესტრის განმავლობაში კი მინიმუმ ორჯერ. ამასთანავე, სავალდებულოა სხდომა სემესტრული და წლის შედეგების განხილვის მიზნით.
საგნობრივი კათედრების წევრთა შეკრება აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება ჩატარდეს საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ ნებისმიერ დროს.

10.ინკლუზიური განათლების პროგრამა და ზოგადი დებულება. დანართი N6

11. სკოლის სადამრიგებლო - სააღმზრდელო პროგრამა

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი–ელ–სის აქვს ჩამოყალიბებული მიდგომა სადამრიგებლო–სააღმზრდელო საქმიანობისადმი და ეს პროგრამა წარმოადგენს კლასის დამრიგებლის, ფსიქოლოგის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობელთა კლუბისა (მშობელთა კომიტეტი) და სკოლის დისციპლინარული კომიტეტის საქმიანობის ერთობლიობას.

კლასის დამრიგებელი

ყველა კლასში სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დანიშნული კლასის დამრიგებლები. ამასთან, I-VI კლასის მოსწავლეებთან მუშაობს დამრიგებელი და აღმზრდელი, ხოლო VII-XII კლასებში - დამრიგებელი.

მიზანი: ჯანსაღი, ეროვნული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდისათვის სასწავლო პროცესის მართვა, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, მშობელთათვის მოსწავლეთა აკადემიური და არასასკოლო საქმიანობის შედეგების გაცნობა. ამასთან ერთად, მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარება, მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ლიბერალურ და დემოკრატულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერების განვითარება, მოსწავლეთა მხრიდან ოჯახის, სკოლის, თანატოლების, საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერების უზრუნველყოფისათვის.

სკოლაში დამრიგებლის მუშაობა წარიმართება შემდეგი პრინციპებით:

- სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
- მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება - მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;
- თანამშრომლობის პრინციპი – ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

დამრიგებლის მოვალეობებია:

- გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);
- დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე წინასწარ შეთანხმებული თემატიკის მიხედვით სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.
- დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
- იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
- სკოლის მიერ დაწესებული განრიგის შესაბამისად მშობლებისთვის განკუთვნილ დროს (საინფორმაციო დღე მშობელთათვის) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ;
- დროულად აცნობოს მშობელს შვილის სწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- გამოიკვლიოს მოსწავლის მიერ ყოველი გაკვეთილის გაცდენის ან გაკვეთილზე დაგვიანების მიზეზი და აცნობოს მშობელსა და დირექციას;
- შესვენების დრო გაატაროს სადამრიგებლო ჯგუფთან ერთად;
- უზრუნველყოს კლასის სამუშაო განრიგის და სხვა აქტივობების მეთვალყურეობა;
- სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული

მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;

- მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში;
- მატერიალურად პასუხისმგებელია საკლასო ოთახში არსებული ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

დამრიგებელი მუშაობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- სასწავლო - შემოქმედებითი ექსკურსიები;
- ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გასვლები თეატრებში, კინოში, მუზეუმებში;
- სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები;
- შემეცნებითი, მხატვრული, და ინტელექტუალური ღონისძიებები;
- შიდასასკოლო კონკურსები, ოლიმპიადები;
- შეხვედრებისა და გამოფენების მოწყობა;
- სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- უფროსკლასელთა პროფესიული ორიენტაცია.

მოსწავლეთა თვითმმართველობა

1. მოსწავლეთა თვითმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს;

2. მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმართველობებს II და III საფეხურზე (II საფეხურის თვითმართველობას ემატება V და VI კლასები);

მოსწავლეთა თვითმართველობის უფლებები და ფუნქციები:

- მოსწავლეთა თვითმართველობა თანამშრომლობს დირექციასთან და სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს სათანადო წესით აცნობებს მას;
- მოსწავლეთა თვითმართველობის ფუნქციაა დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები და მათი უფლებები, საჭიროების შემთხვევაში უშუამდგომლოს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან.
- თვითმართველობის ორგანო ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების აქტიურ მუშაობას.
- სკოლის თვითმართველობა უფლებამოსილია წარადგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- სკოლის თვითმართველობა უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმასა და განხორციელებაში;
- თვითმართველობა განიხილავს სწავლაში პრობლემების მქონე მოსწავლეთა საკითხს;
- განიხილავს გამორჩეული მოსწავლეების აღიარებისა და წახალისების

საკითხს;

- თვითმართველობას შეუძლია დაგეგმოს გამოფენები დერეფნებსა და საკლასო ოთახებში, კედლის გამოცემები და სხვა;
- თვითმართველობის ორგანო ერთ-ერთი ხელისშეწყობი მექანიზმია მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის;
- მოსწავლეებს უფლება აქვთ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის მიუღებელი საქციელი.

სკოლის ფსიქოლოგის სამსახური

მიზანი

- სასკოლო ასაკის პერიოდში თანამედროვე ცხოვრების ტემპისა და გაზრდილი ინფორმაციის, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების ფონზე იმ გართულებების თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მოსწავლეთა ურთიერთობებში თანატოლებთან, მშობლებთან და პედაგოგებთან;
- სკოლის პერიოდში ბავშვის მკვეთრ ფსიქოფიზიკურ ზრდასთან დაკავშირებული, სხვადასხვა სახის კრიზისით გამოვლენილი სიძნელეების აღმოფხვრა. სწავლაში, ურთიერთობებში სასწავლო პროცესის წარმატებით მიმდინარეობაში .დაბრკოლებების თავიდან აცილება;
- პედაგოგებთან ერთად, მოსწავლეების დახმარება სწავლის მოტივაციის ამაღლებაში, სწორი ურთიერთობების ძიებაში, სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში..

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე სკოლის ფსიქოლოგი :

- მუშაობს დამრიგებლებთან ერთად ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოზარდების გამოსავლენად, ადგენს მათთან მუშაობის გეგმებს და მონაწილეობს ამ გეგმების რეალიზებაში;
- ატარებს ფსიქოლოგის საათს კლასებში დადგენილი განრიგის შესაბამისად;
- არის ინკლუზიური განათლების კოორდინატორი (დებულების შესაბამისად);
- მუშაობს ინკლუზიურ მოსწავლეებთან, სასწავლო ნაწილთან ერთად ადგენს მულტიდისციპლინარულ გუნდს,მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმას მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე;
- ზრუნავს საერთო სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებისათვის;
- ხელმძღვანელობს მშობელთა კლუბის (მშობელთა კომიტეტი) მუშაობას;
- სწავლობს კონფლიქტურ სიტუაციებს, თანამშრომლობს კლასის დამრიგებლებთან, სკოლის დაცვის სამსახურთან, მორიგე მასწავლებლებთან სკოლაში დისციპლინის უზრუნველსაყოფად, ატარებს ინდივიდუალურ საუბრებს მოზარდებთან გაწერილი განრიგისა და/ან საჭიროების შესაბამისად.

მშობელთა კლუბი, მიზნები, საქმიანობის საგანი

- მშობელთა კლუბი არის არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს;
- სკოლის მშობელთა კლუბის მიზანია თავისუფალი და განათლებული პიროვნების აღზრდისათვის საჭირო პირობების ჩამოყალიბება, ახალი ინიციატივების დაფიქსირება შემეცნებითი და ფიზიკური უნარ–ჩვევების განვითარების მიმართულებით, ზრუნვა მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის.
- კლუბის საქმიანობის საგანი განისაზღვრება მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული მაჩვენებლებით, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს და გარემოს წინაშე საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერების ხარისხით;
- მშობლები, საკუთარი რიგებიდან ირჩევენ კლუბის წევრებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე.

დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის სტატუსი

- დისციპლინური კომიტეტი არის არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს;
- სკოლის დისციპლინური კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად;
- დებულება განსაზღვრავს დისციპლინური კომიტეტის ძირითად სტატუსს, ამოცანებს, უფლებამოსილებასა და მუშაობის წესს;
- დებულება ძალაში შედის სასკოლო სტენდზე გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის შემდეგ (დებულებას სკოლის მოსარგებლეები ასევე ეცნობიან დამრიგებლის საათზე, მშობელთა საინფორმაციო საათსა და პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე) ;
- დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების“ შესახებ, სკოლის წესდება და შინაგანაწესი;
- დისციპლინური კომიტეტის ფუნქციონირების ვადაა ერთი წელი;
- დისციპლინური კომიტეტი ანგარიშვალდებულია სკოლის დირექტორისა და პედსაბჭოს წინაშე;
- დისციპლინური კომიტეტი სკოლის ადმინისტრაციისგან, დირექციისგან და სკოლის პედაგოგიური კოლექტივიდან მიღებული მასალების (კონტროლის/შემოწმების) საფუძველზე აფასებს სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა მიერ ჩადენილი გადაცდომების სიმძიმის ხარისხს და ღებულობს გადაწყვეტილებებს შესაბამისი სახდელის დაწესების ან არდაწესების შესახებ;
- კომიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს სკოლის ადმინისტრაციასა და დირექციასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

12.დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზდელო მომსახურება

ა) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა:

რუსული ენა – მესამე უცხოური ენა

(დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება), სკოლისათვის სავალდებულო საგნის სტატუსით, 2 აკ.საათი VII-VIII-IX კლასებში, გაწერილი გაკვეთილების ცხრილში.

საგნობრივი კლუბები

დაინტერესებული და შესაბამისი უნარების მქონე მოსწავლეებისათვის სკოლაში, არასაგაკვეთილო დროს ხელმისაწვდომია შემდეგი სახის **უფასო მომსახურება:**

- III კლასიდან: წიგნის მოყვარულთა კლუბი - ინგლისურ ენაში სამეტყველო და საკომუნიკაციო უნარების განვითარებისათვის;
- III კლასიდან: ინგლისური ენის ყოველწლიური სასერტიფიკატო გამოცდების შესაბამისი პროგრამით მზადება გაზრდილი საათობრივი ბადით;
- V-VI-VII კლასებში: უცხოური ენის თავისუფალი გაკვეთილები იმ მოტივირებული მოსწავლეებისათვის, რომლებიც იმუშავებენ გერმანულ და ინგლისურენოვან მოხალისეებთან და უცხოელ პედაგოგებთან არაპროგრამულ მასალაზე;
- V კლასიდან: ნორჩ ფილოლოგთა კლუბი - შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების, აკადემიური წერის უნარების განვითარებისათვის;
- III კლასიდან: ბუნების მეგობართა კლუბი;
- VII კლასიდან: კლუბი „გალუას მიმდევრები“ - მათემატიკით დაინტერესებული იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც უყვართ ლოგიკური, სახალისო, რთული და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნა.

ფსიქოლოგის საათი

ფსიქოლოგი: ზაზა მინდიაშვილი

სკოლის პერიოდში ადგილი აქვს ბავშვის მკვეთრ ფსიქო–ფიზიკურ ზრდას, რაც ხშირად სხვადასხვა სახის კრიზისით ვლინდება: სიძნელეები წავლაში, ურთიერთობებში რაც, თავის მხრივ, აბრკოლებს სასწავლო პროცესის წარმატებით მიმდინარეობას.

სკოლის ფსიქოლოგი პედაგოგებთან ერთად, ეხმარება მოსწავლეებს აღნიშნული პრობლემების დაძლევაში, სწავლის მოტივაციის ამაღლებაში, სწორი ურთიერთობების ძიებაში, სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების

ჩამოყალიბებაში..
აღნიშნულ საქმიანობას სკოლის ფსიქოლოგი ახორციელდებს ყველა კლასში სამუშაო გეგმის მიხედვით, ხოლო სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციების არსებობის, მოსწავლის ხასიათისა თუ ქცევის სპეციფიურობიდან გამომდინარე ატარებს ინდივიდუალურ მუშაობას (საუბრებს) მოზარდებთან.
ფსიქოლოგის საათის განრიგი მუშავდება სემესტრების მიხედვით და შეთანხმებულია სკოლის დირექციასთან.

სკოლის ექიმის საუბრები

სკოლის ექიმი: ხათუნა როგავა
დამრიგებლის საათზე I-XII კლასებში

- ჰიგიენა - პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვა, პირველი დახმარების ძირითადი ჩვევების ცოდნა;
- გარე სამყაროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების შესწავლა;
- მავნე ჩვევებზე (თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარება) უარის თქმა;
- კვება - ზომიერი, ინდივიდუალური, ფიზიოლოგიური, თავისებურებების შესაბამისი, აგრეთვე - ინფორმირებულობა გამოსაყენებელი პროდუქტების ხარისხიანობის შესახებ;
- მოძრაობა - ფიზიკურად აქტიური ცხოვრება, დღის რეჟიმში სპეციალური ფიზიკური ვარჯიშების ჩართვა.

სკოლის ექიმის საუბრების განრიგი მუშავდება სემესტრების მიხედვით და შეთანხმებულია სკოლის დირექციასთან.

ბ) ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა:

გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფები

გაკვეთილების (საშინაო დავალებების) მომზადება

I-VI კლ. მოსწავლეებისათვის მიმდინარეობს საშინაო დავალებების მომზადება დღის მეორე ნახევარში მასწავლებლის მეთვალყურეობისა და საჭიროების შემთხვევაში მისი დახმარებით. დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში კი – ეძლევათ რეკომენდაციები სახლში შესასრულებელი საკითხების შესახებ.

გერმანული ენის გაკვეთილები დღის მეორე ნახევარში

გერმანული ენა სკოლისათვის პრიორიტეტული საგანია, ამიტომ, დაწყებით კლასებში საშინაო დავალებების მომზადებისას სწორი მიმართულების უზრუნველსაყოფად და, აგრეთვე, სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით დღის მეორე ნახევარში ჩასმულია დამატებითი მეცადინეობები:

– გერმანულ ენაში – III-IV კლასებისათვის.

გერმანული ენის დამატებითი მეცადინეობების განრიგი (მეცადინეობის ხანგძლივობა 45 წთ.) მუშავდება სემესტრების მიხედვით და შეთანხმებულია სკოლის დირექციასთან.

გერმანული ენის წრე

დღეები: ოთხშაბათი, პარასკევი

მასწავლებელი: მაგდა ღუღუნიშვილი

ფუნქციონირებს: სხვა სკოლებიდან გადმოსული იმ მოსწავლეებისათვის, რომელთა გერმანული ენის ფლობის დონე შესაბამისი კლასის დონეზე დაბალია. მიზანი მოკლე დროში მოსწავლის სასწავლო პროცესში სრულად ჩართვის უზრუნველყოფაა.

ქართული ენის წრე

დღეები: ორშაბათი, ოთხშაბათი

მასწავლებელი: ინგა ხუციშვილი

ფუნქციონირებს იმ მოსწავლეებისათვის, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა (უცხო ქვეყნის მოქალაქეები) და რომელთა ქართული ენის ფლობის დონე არ არის საკმარისი სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვისათვის. მიზანი მოკლე დროში მოსწავლის სასწავლო პროცესში სრულად ინტეგრირების უზრუნველყოფაა.

რუსული ენის წრე

დღეები: ორშაბათი, ოთხშაბათი,

მასწავლებელი: ნინო პაპიძე

ფუნქციონირებს: იმ მოსწავლეებისათვის, ვისაც სურვილი აქვს რუსული ენის შესწავლა დაიწყოს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ვადამდე (VII კლასამდე);

ჭადრაკის სექცია

დღეები: ორშაბათი, ხუთშაბათი

წრის ხელმძღვანელი: არჩილ მემარნიშვილი

ჭადრაკი, როგორც გონების ვარჯიში, ლოგიკური და თანამიმდევრული აზროვნების განვითარების ერთ-ერთი საშუალებაა.

ჭადრაკის სწავლება მოიცავს თამაშის წესების, მისი ცალკეული სტადიებისა და მათი გათამაშების პრინციპების ცოდნას, აგრეთვე ჭადრაკის თეორიის სხვა

მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზს.
ჭადრაკი ავარჯიშებს მოსწავლის გონებას, ხელს უწყობს ცოდნის შედეგების გაუიმჯობესებას მათემატიკაში, აჩვევს ლოგიკურ და თანმიმდევრულ აზროვნებას, იძლევა შემოქმედებითი აქტივობების მდიდარ შესაძლებლობებს. მოსწავლეები ეჩვევიან პოზიციის შეფასებას, ვარიანტების გათვლას, ადგენენ თამაშის გეგმებს. ეჩვევიან დაშვებული შეცდომების ანალიზს, ნათამაშები პარტიების გარჩევას.

საბალეტო სტუდია

დღეები: სამშაბათი, პარასკევი
ქორეოგრაფი: მაგდა ჭიღვარია

სტუდიაში ჩართული მოსწავლეები დაეუფლებიან ქართულ და თანამედროვე ცეკვებს. მიზანია მოსწავლის ფიზიკური და ესთეტიკური განვითარება, მოზარდ თაობაში ეროვნული კულტურის დანერგვა. მოწოდებულია განუვითაროს მოსწავლეს ეროვნული თვითშეგნება და ჩამოუყალიბოს ტრადიციისადმი პატიცისცემის გრძნობა. ასევე საკუთარი სხეულის ფლობისა და მუსიკის ხასიათის გადმოცემის უნარის განვითარება, პლასტიკური გამომსახველობის, კოორდინაციის, მოძრაობის კულტურის გამომუშავება, ტანადობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მოსწავლეების ჩართვა შემოქმედებით პროცესში.

ხატვის წრე

დღეები: ორშაბათი, ოთხშაბათი
წრის ხელმძღვანელი: ნინო ფცქიალაძე
ითვალისწინებს: პრაქტიკულ–შემოქმედებით საქმიანობას, ხელის მოტორიკის განვითარებას, აპლიკაციების და კოლაჟების დამზადებას. მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების წახალისებას. უმთავრესი ყურადღება ექცევა ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა ფერის, ხაზის, ფორმისა და სივრცის აღქმა.

დიზაინის სტუდია

დღეები: სამშაბათი, პარასკევი
სტუდიის ხელმძღვანელი: თამარ რევაზიშვილი
ითვალისწინებს: პრაქტიკულ–შემოქმედებით საქმიანობას: ძერწვას, ვიტრაჟისა და ბატიკის საფუძვლების შესწავლას და ნამუშევრების შექმნას, აპლიკაციების და კოლაჟების დამზადებას. ხელოვნების თანამედროვე მიმართულებების ათვისებასა და დახვეწას (ავანგარდი, აბსტრაქცია), ქაღალდის პლასტიკის შესწავლას და დეკორატიული კომპოზიციების შექმნას.

სამუსიკო სტუდია

დღეები: ოთხშაბათი, პარასკევი

სტუდიის ხელმძღვანელი: ეკა შაროვი
ითვალისწინებს: შეისწავლიან საესტრადო სიმღერებს ქართულ და იმ უცხო ენაზე რომელსაც სწავლობენ. მეცადინეობა მიმდინარეობს როგორც საფორტეპიანო აკომპანიმენტის, ისე მინუს ფონოგრამების თანხლებით. წელიწადში ორჯერ იმართება თემატური ღონისძიებები, მიუზიკლები, სადაც ბავშვები სიმღერებს წარადგენენ ცოცხალი შესრულებით. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები ჩაერთვებიან სხვადასხვა ვოკალურ კონკურსებში.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა კვება:

<u>დილის ლანჩი - 10:35 – 10:55</u>

სადილის განრიგი

	I	II	III	IV-1	IV-2	V	VI	
ორშაბათი	13:35	13:10	14:00	14:20	14:20	15:05	14:40	ორშაბათი
სამშაბათი	13:35	13:10	14:00	14:20	14:20	14:40	14:40 15:05	სამშაბათი
ოთხშაბათი	13:35	13:10	14:00	14:20	14:20	14:40	15:05	ოთხშაბათი
ხუთშაბათი	13:35	13:10	14:00	14:20	14:20	15:05	13:50 14:40	ხუთშაბათი
პარასკევი	13:35	13:10	14:00	15:05	15:05	14:20	14:40	პარასკევი

საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სი

მენიუ

კვირის დღეები	ლანჩი	სადილი
ორშაბათი	ჩაი ფუნთუშა ,,ბლითი სეზამით”	ბორში არაჟნით წიწიბურა სოსისით
სამშაბათი	ჯაჯაო მაფინი ჯაჯაოთი	ქათმის ბულიონი მაჯარონი ყველით
ოთხშაბათი	ჩაი ქადა	ლობიო წიწიბურა მოხარშული ქათმის ხორცით
ხუთშაბათი	ჯაჯაო ჯრუასანი	ხორცის (არტალა) წვნიანი მაჯარონი
პარასკევი	ჩაი ფუნთუშა ქიშმიშით	ბოსტნეულის წვნიანი ჯარტოფილი არაჟნით

ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება

1. № 2 - თამაზ ხვიტია -551 93 34 44

სკოლა, ნუცუბიძე, გაგარინი, პეკინი, ტელევიზია,
ტელევიზია, კოსტავა, ბულაჩაური, გაგარინი, ნუცუბიძე, სკოლა

2. № 4 - ილია სომხიშვილი - 555 60 60 70

სკოლა, ქავთარაძე, ყაზბეგი, საბურთალო, მიცკევიჩი,
საბურთალო, მიცკევიჩი, ვაჟა–ფშაველა, სკოლა

3. №8 - ედიშერ კვარაცხელია- 593 91 71 99
   დანიელ ლაბუტია - 593 90 49 70

სკოლა, ქავთარაზე, ნუცუბიძე, ვაჟა-ფშაველა, თამარაშვილი, ჭავჭავაძე, რუსთაველი, თავისუფლება
თავისუფლება, რუსთაველი, ჭავჭავაძე, თამარაშვილი, უნივერსიტეტის ქუჩა, ნუცუბიძე, სკოლა

სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი და ის გაზიარებულია პედსაბჭოზე განხილვისა და სკოლის ვებგვერდზე განთავსების გზით.